

მელიც შევამჩნიე მე პირველ ოც ვერსზე შოთიდან დაწყებული თითქმის ახალ-სენაკამდე. ამ ადგილს რკინის გზა, როგორც იცით, ქობიან მიწაზე გადის, და ამ ქობიან ამოძვება და ზედ გზის გამაგრება ძლიერ გაუძვირდათ გზის მშენებლებს. ჩვენ და საწყენათ, გზა ამ ქობიანზე მეტად მტკათ რბილი და სუსტია. მაშინა როცა ზედ გადის, ვაგონები ისე ქანობენ და ირწყვიან, თითქო ნაფი ცოტათი აღდგომულ ზღვაში დაჰქროდეს. ამ ადგილებში, სანამ გზას კარგა არ გამაგრებენ, ჩქარი სიარული შეუძლებელი იქნება.

ახლა, რაკი სიარულის სიჩქარეზე წამომცდა, იმასაც გეტყვით, თუ რა სიჩქარით დადის ამ ქობიანთ რკინის გზა. სამუშაო მასალების საზიდველათ, ის დაიარება საათში ოც ვერსს. ამბობენ, რომ შემდეგში, მოგზაურების სატარებლათ ის ოცდაათ ვერსიდან ორმოცამდე გაივლის, და კურიერის ვაგონები კი—სამოცამდე. ეს ძლიერ ჩქარი სიარული არ უნდა ეგონათ თქვენ მკითხველებს: რკინის გზას საათში ას ვერსზე მეტად ვეღო შეუძლება შოთიდან მთუთისამდე კაცის ერთ საათში მოყვანა.

აგვისტოს ცხრას მოვა შოთის კამისია, რომელიც რუსეთის გზების სამინისტრომ უნდა გამოგზავნოს გზის დასათვალიერებლათ და მის გასასწავლათ საზოგადო სახმარათ. სანამ ეს კამისია თავიდან ბოლომდე გზას და მის მოწყობილებას არ დაათვალიერებს, გზის გასახანა შეუძლებელია, და თუ—როგორც ფიქრობენ—ამ კამისიამ ნამეტნათ სასტიკი თვალთ არ შეხედა ჩვენი რკინის გზის ზოგიერთ ნაკლულევენებას, გზა 14 აგვისტოს გაისხნება. მაგრამ შეუძლებელი არც ის იქნება, რომ მისი აზრით ჯერ რკინის გზის გასახანა ჩქარებულ საქმეთ ამოჩნდეს, და მაშინ ესაზარი აუცილებლათ ასრულდება, ესე იგი გზა აღარ გაისხნება...

საზოგადოათ უნდა ითქვას, რომ გზა ხეირო-

ანათ არის გამართული. მაშინები კარგა თაობიანათ და შევიდრეთ არიან გაცუთებული ინგლისში. მაგონების გარეგან და შინაგან გამართულობას ის შნო, ლაზათი და სიკეთე ატყვიან, რომელსაც მთელ ქვეყანაში მარტო პარაყის ხელობა აბეჭდს თავის ნაშრომს. მე ჯერ მარტო პირველი და მეორე კლასის ვაგონები ვნახე, და უნდა ვთქვა რომ სხვა ვაგონებზე ამაზე უკეთესები არ იბოება, ანა და იშვიათები მაინც არიან.

შოთში მე ყურები გამომიყურეს იმ ამბით, ვითომც რკინის გზის უბრალო მუშები და დაბალი მოსამსახურეები მეტის მეტათ ლობობენ და საქმეს ყურს ნაკლებათ უდგებენო. მართალი უნდა ვთქვა, რომ ჩემი თვლით მე არაფერში არ შემიძინეგია ამ ნაირი ყოფიქვეცა მათ მხრით. მათი გარეგანი შეხედულობა, საზოგადოათ, შნოს მოკლებული არ არის, განსაკუთრებით კონდუქტორების, ესე იგი იმ პირების, რომელნიც მოგზაურების მატარებელ ვაგონებს ახლავან ზედამხედველბათ. იმათ რუსული ნაციონალური ტანსაცმელი აცვიათ, როგორსაც—ხომ გენახებათ—დიდაკების პაწაწა ბავშვებს აცმენ ხოლმე, და რომელსაც ჩვენში „ქუჩრულს“ უძახიან. ბამბის ხავერდის შარავლს გარდა, დანარჩენი ყველაფერი სწორეთ ისეთია, იმ განსხვავებით, რომ წითელი პერანგის მაგიერ ამათ ლურჯი აცვიათ.

შოთიდან დაწყებული ქუთაისამდე რამდენიმე სტანცია იქნება. მრთი შალადის, ერთი ახალ-სენაკს, ერთი ძულაშს, და ორი სხვა, უტროსები. ჩემი აზრით ამ სტანციებში კარგი მომავალი ელის განსაკუთრებით ახალ-სენაკს (ამ ქალაქს თუ წყლის უქონლობამ არ ავნო), ძულაშს და მთუთისს, აგრეთვე როგორც ყვირილის სტანციას. თუ თქვენ ჩვენი ქვეყნის მდებარეობას გაიხსენებთ, ან იმერეთის კარტას თვალს გადაავლებთ, დანახავთ, რომ ამ ადგილებს ჩილილოეთისა და სამხრეთისკენ ან დიდრონი და სქლათ დასახლებული ხეობები ახლავთ, ანა და ხალხით სავსე

დროში. ღღეს მათი გამაბრწყებელი მაშინ ეტყვიან სიცილით: ვერ მოაკრფევინო. ამოდენ უსიამოვნოსთან ერთიც სასიამოვნო რამ უნდა ვახაროთ: არ ვიცი კი წინაგანზრახვით იყო, თუ ისე ალაღაბეზნდ, მაგრამ საკეთილ დღეთ მთუთისსა პარასკეობა, ე. ი. იარმარკობა პარასკეობით, მოშალეს.—და ამ პარასკეობის გადადგებას სასარგებლო მნიშვნელობა ექნება. ჯერ ის უნდა მოგახსენოთ რა ნაირად შამოვიდა ჩვენში პარასკეობა; როდესაც იმერეთი თათრების ხელში ჩავარდა, მაშინ თათრებმა მათი ბაიზამი, რომელიც პარასკეობით არის ხოლმე, ჩვენს ქრისტიან ხალხსაც უქმეთ დაუდგა და მას აქეთ თუმცა თათრობა დეითი დიდი ხანია მოიშალა მაგრამ პარასკეობა კი მაინც დავგრჩა. ღღესაც იმერეთში პარასკეობა დღეს უქმობენ და კვირაში ორი დღე ეკარგებათ სამუშაოთ: კვირა როგორც ქრისტიანებს სადღესასწაულო დღე და პარასკევი თათრების. მის გარდა, რომ ეს ამაო მორწმუნება ზარალს აძლევს მუშა ხალხს, ქრისტიანობის წინააღმდეგია და მიკვირს სასულიერო წოდებას არ მიუქცევია ამ საქმისათვის ჯეროვანი ყურადღება. ამასთანავე არც ჩვენთვის არის სასიამოვნო, რომ გვაგონდებოდეს თათრების უფლება. პოლიციამ ყველას დაასწრო და მიაქცია ყურადღება ამ საგანს: რა მიზნით ის არ ვიცით, ჰქონდა ესეები სახეში თუ არა, მაგრამ ეს განკარგულება კი ჩინებულია. იშრომოს ხალხმა პარასკეობით წუ მოსცდება და თუ რამე საეჭრო ექნება კვირა დღესაც მოასწრებს შესრულებას. ზოგნი ამბობენ რომ პოლიციას მხოლოდ ურიები ჰქონდათ სახეში და მითამ მოიშალა პარასკეობა, და თუ ეს მართალია იმ შემთხვევაშიაც საქებია ეს განკარგულება: საზოგადოათ იმერეთში და რასაკვირველია მთუთისშიაც ისე უსარგებლო და მაე-

სოფლები. ახალი სტანციები ამ ხეობებისთვის და სოფლებისთვის ცალ-ცალკე ცენტრებთ შეიქნებიან, საითკენაც მიმართავს იმ არე-მარეს ხალხი თავის მოსავლის და ნაშრომის გასაზიდველათ და საჭირო ნივთების ან ხორაგის საყიდველათ. ძლიერ შესაძლებელია, რომ ერთ რომელსამე ადგილს, მაგალითად ქალაქ მთუთისს, ან ხონს, ეხლანდელი მისი მნიშვნელობა მოაკლდეს, მაგრამ მაგიერათ ეს მნიშვნელობა, რომელიც ეხლა ერთ ალაგს არის შეკრებილი და დაგროვებული, ბევრი წერილმანი ადგილების შუა გაიყოფა, და ამით თვითონ ეს მნიშვნელობა დაიფანტება, მაგრამ როდი დაიკარგება. საზოგადოათ, ის ბევრითაც გაიზდება და გაძლიერდება, თუმც უწინდელივით ერთ ალაგს აღარ იქნება შეგროვებული, თვალის მოსაწყუებლათ.

(შემდეგი იქნება).

აკვთისხშიდგან

(„ღროების“ კორესპონდენცია)

ათათიის 29-სა დღესა, 1871-სა წელსა. შექველია „ღროების“ მკითხველი ისურვეს შეიტყოს, სად როგორი მოსავალი მოვიდა? ავეთის-ხევში, და, შემოძლიან ესთქვა, მრთლად შორის უფნდში, პური და ქერი კარგათ მოვიდა: მაგრამ სიმინდი და მასთან ლობიო კი ფუჭდებიან უწყვილობისაგამო. აგერ მისს აქეთ (როგორც ანობენ აქაურები) ერთი ხეირიანი წვიმა არ მოსულა; მხოლოდ პეტრე-პავლობას კი ყოფილა ცოტას ხანს და მას აქეთ უწყვილობისაგან და ნამეტანის სიციხით ლამის ჩაიწვას სიმინდები და მასთან ლობიოც. საძოვარი ბალახი საქონლისათვის ხომ თითქმის აღარსად არის მინდვრებში. მოუხშირეს მღვდლებმა პარაკლისები წეთისადმი წვიმის მოცემისათვის; მოუხშირეს „ლაზარე-ზედ“ სიარული *) და სხვა ღონისძიებანი; მა-

*) აი „ლაზარეზედ“ სიარული რა არის: შევირიბებთან რამდენიმე ქალბი—10-დგან 60-მ დინ,—

გრამ მაინც არა ეშველათრა და ერთს ხეირიანს წვიმას ვერ ეღირსნენ. „ღროების“ მკითხველს შეუძლია წარმოიდგინოს, რა ვენება მიეცემა შართლსა უწყვილობითა; მაშინ როდესაც აქ ყოველი მოსავალი მოდის მხოლოდ მორწყვითა, წინააღმდეგ შემთხვევაში აქაური შრომა ფუჭია.

რა ქნან აქაურებმა? რითი მორწყონ თავიანთი ნამუშაიარი, მაშინ როდესაც უწყვილობისა გამო მდინარეებმა ძალიან იკლეს და თვითც

გაკეთებენ თიხისას, კაცის მგზავს, პატარა გვამსა, წაახვევენ ჩვირებში, გადაფარებენ ზვიდგან ხელსახოსსა და ამ კაცის მგზავს თიხის პატარა არხებსა ეძახიან „ლაზარეს“. ამ უკანასკნელს დაიჭერს ერთი დედა-კაცი ხელში, მისდევნს ხვევიც იმას და ატარებენ კარისკარს,—ოჯახებში. როდესაც მივლენ რომელსამე სახლის წინ, მაშინ დაიწყებენ წმინდის ხმით გალობას და მშვენიერის მოძახილით და ბანით ანობენ ამა ლექსა:

მს ლაზარე, ლაზარე,
ლაზარე მიდგა კარსა.
მიდგა მოდგა თაროსა,
დაემგზავსა მთვარესა!
სხაგი აცხავებულა,
წვიმა განჭარებულა.
ღმერთო! მოგვეც ტალახი,
აღარ გვინდა გორახი,
ქლიაო, ელია,
რასა მოგიწყენიაო.
თერთი თხა, თერთი ციკანი
შენთვის მოგიერთმევიო...

ამ ლექსის თქმის დროს, ჩუმათ სანლის პატრონი მოუვლის და ბანიდამ კოკით წყალს ჩამასახმს, ეცდებოდა რომ იფინი როგორმე ძალიან დასველოს. შეიქმნება სიცილი, მაღლის ხმით კისკისი, და კივილი წყლის ჩამოსხმის დროს, და ამით გათავდება.

მჯანის პატრონი ან ფქვილს და ან ფულს აჩუქებს იმათ, ხოლო უკანასკნელნი ამ რიგათ შეკრფილის ფულით მღვდელ პარაკლისს ახდენიებენ და თვითც ქიუხს გასწვენ.

მა მთუთისის ბოლოზედ, მაგრამ ეს ვანკარგულბა და გადაწყვეტილება შეჩერდა და ახლადგანაც ეს არ მოხერხდა და მაშ სხვა საშუალება აღარა გვიჩნება რა, თუ განათლება არ შემოვიდა თვითონ ურიებში, მაგრამ რა რიგია, რომ არა ჰსურსთ მამებს შეილების გამოზლა. მამებებისად სცდილობენ, რომ შეილებს არა ასწავლონ რა თვინიერ იმ აზრის, რომ ისე იცხოვრო, როგორც ჩვენ, და რითიც კი მოახერხო ქრისტიანს თუ დაზოგავო. მს რომ გაიგონოს იაკობ ჩორნიამ იმ მოგზაურმა, რომელიც ამას წინეთ იყო გამოგზავნილი იტალიანის საზოგადოებიდამ, მეტყვის ჩვენ ქრისტიანების დევნა ტალმუდში არ გვიწერია და შემცდარი ხარო, მაგრამ უფუნურება და გაუნათლებლობა მათი არის მანენდელი; რომ აღარც ტალმუდს მისდევს და აღარც ქვეშაობებას. ისე თვის კჳუზუნდ გადაუხვეს ამათ მორწმუნეობას გამო. იმედი გვაქვს რომ მმართველობა მიაქცევს ყურადღებას და თუ დაგვიანდა მაშინ თვით ქალაქის მცხოვრებლებიც ეცდებიან, რომ რათიც იქნეს შეგარონ ურიები ახლანდელის მათის მტრულისა და უსაქმურობის სიკუდუნედ, გამოუტყალონ მათ დღევანდელი მათი მოქმედების გზა და თუ ეს ვერ მოახერხეს, მაშინ თვის თავს მაინც გაუფრთხილებიან და თვის დამზიანებელს იარაღს მაინც აღარ მისცემენ ხელში, აი, ამ მხრითაც კარგი ჰქნეს პარასკეობის მოშლა. აქ ურიებზედ გავკრით ეილაპარაკეთ და თუ საჭირო იქნება, მაშინ ჩვენ შევიძლია უფრო ვრცელი და უფრო საუფემლოანი სტატიით დავამტკიცოთ თუ რა ენება მოაქცეს ჩვენის ხალხისათვის ამაოთ მორწმუნე და გაუნათლებელ ებრაელებს.—

მ. ა. წყნეთელი.

აღარ ჰყოფნიან სარწყავათ. შეუძლიან წარმოადგინონ რამდენი თავი გატყუება ჩხუბებში, რომელნიც ეხლა ხდებიან წყლების სარწყავად გაყვანაზედა, რადგანაც ყველა თავისთვის ძალაობს. აი, ამ უწყვეტობამ სადამდინ მიაღწევინა ხალხსა: ერთს ალაგას შევეწარი, სადაც რამდენიმე პირნი ჰყოირობდნენ ერთი გლეხის კაცის დარბევასა და აკლებასა, ხოლო როგორც შევეტყე მიზეზი კი იმ გლეხისა ის იყო: იმ გლეხისთვის ერთს ვიღასაც ესწავლებინა, თუ გინდა რომ თქვენს სოფელში სეტყვა აღარ მოვიდესო, შენ უნდა დაკლა თხაო და იმის თავი-ფეხი გორაზედა—სადმე ჩაფლავა და ზედ ცეცხლი დაანთოვო, მაშინ უთუთოთ თქვენ სოფელში სეტყვა აღარ მოვო; იმ გლეხსაც დაეჯერებინა და სიტყვა სიტყვით აღესრლებინა. ეს ანბანი სოფელს შეეტყუა და რასაკვირველია იმ პირებთაცა, რომელნიც მე ვნახე. და აი ახლა ის პირები ჰყოირობდნენ იმაზედა, რომ, ვითომც იმას ილია იმ გვარის მოქმედებით გაეჯერებინოს და მისგან გაეჯერებულნი არამც თუ წვიმას, არამედ ცვარსაც აღარ აძლევდეს. აი უსწავლელობა და ცრუ მორწმუნება სადამდის მიღწევიანებს უსწავლელს ხალხსა.

ღვთი ბარბაქოელი.

უსხო ქვეყნები

პოლიტიკური მიმოხილვა

ამ ქვეყნის საფრანგეთის საერო კრება, რომელსაც ეძახიან ნაციონალურ კრებას, დიდს ამბავშია. იქ არის დიდი ბრძოლა ატეხილი სხვა და სხვა პარტიებს შუა და რაც დრო გამოდის, იმდენათ უფრო ძლიერდებიან რესპუბლიკელების მომხრენი. ჯერ-ჯერობით სულ იმათ ხელში გადადის ბურთი და მიედანი, რესპუბლიკა ფეხს აკიდებს საფრანგეთში. მარტო ქვეყნების ხელმწიფეები უსიამოვნოთ უტყვიან ამ საქმეს და გაბრაზებულ ლომებისავეთ კბილებს უხრჭენენ, ალბათ არაფრათ ეტანებიან საფრანგეთში საერო უფლების დამყარება, რადგან იციან, რომ უფლების ხელში ჩაგდება ტყბილი რამ საქონელია და თუ ერთხელე საფრანგეთის ერთი კარგათ გაიციონ იმისი გემო, უტყველათ გარემო სახელმწიფოს ერებსაც გააცნობს, როგორც მემო გააცნო ტყბილი მდემის ვაშლის გემო ადამსა და მაშინ თქვენი მტერი: ლომი ამა ქვეყნისანი ნაყოფიერ ქვეყნებიდან, უნდა გადაცენდნენ შორს მქის უდაბნოებში ძელების სალოკათ.

სანამდის ცხადათ წარმოვიდგენდეთ, თუ რა მიზეზის გამო იქნა, რომ ამ ბოლოს დროს საფრანგეთში რესპუბლიკამ სძლია სხვა უფრო შერყეულს საზოგადო დაწყობილებას, საქირაა ორიოდე სიტყვით გამოვხატოთ ისტორიული მომდინარეობა იმის საერო საქმებისა 1848 წლიდან დაწყებული, რამდენიმე თვეა მას აქეთ რაც დიდებული პარტი და მთელი შერცხენილი საფრანგეთი ჯავრისაგან ქოჩორს იგლეჯდა და ემუქრებოდა პრუსიელებს: „შემოხველით, ქვეყანა გაციარცვეთ, ოჯახი შეგვირყევით, მაგრამ ერთიც ვეღარ გახვალთ ცოცხალი ჩვენი ქვეყნიდანაო.“ ეს იყო მუქარი ზნეობით გარყვნილი ერისა და პრუსიელებს არ ეშინოდათ ამისი; ის კი არა როდესაც დრო მოვიდა ამ ტრაზანობისთვის ერთი ორათაც ახლევიანეს და ჯავრისაგან საფრანგეთმა თვითონ იწიწნა ხორცი თავის ტანზე (მოიგონეთ პარიჟის არეულება და ცეცხლის წაქიდება), თვითონვე თავის ხელით ცეცხლში დასწვა თავის დიდება და გონებით სიმდიდრე. საფრანგეთი მომეტებულმა უბედურებამ გააგიჟა!... ნეტა რათ მოხდა ასეთი საოცარი საქმე?.. 1848 წელს ინგლისიდან გამოვიდა საფრანგეთში ერთი პირხმელი, ცხვირდილი შუატანის კაცი. იმის პატარა ციციმა თავ-

ლებზე რომ შეეგებენა სწორეთ იტყუადი, ეს ავაზაკი და დიდი მატყუარა ვინმე უნდა იყოსო, მაგრამ პირზე ბოყვიით დამხობილი ცხვირი კი იმის სულელობას აჩენდა. ამ კაცს სახელით ერქვა ლუდოვიკ ბონაპარტი და იყო დიდი ნაპოლეონის ძმის წული. როდესაც საფრანგეთში ფეხი გადმოვდა, ქვეყანას შეჰფიცა, რომ არავითარი უფლების მოყვარება გულში არ მიძევსო. მე მსურს ჩემი ქვეყნის მსახურება როგორც ყოველს პატიოსანს მოქალაქესაო. საფრანგეთის ერთი წრფელის გულით დაუჯერა ამ კაცს თავისი ფიცი და რადგან იყო დიდი ნაპოლეონის ჩამომავალი, ეგონა ლომის შთამომავლობა თავისთვის იმას არ დაკარგავსო, სწორეთ ეს კაცი კარგი რამ უნდა გამოდგესო; თუმცა იმის სახე ავაზაკობის და სულელობის მეტს არას ხატავდა. ამ დროს საფრანგეთში ტანტი ცალიერი, იყო რესპუბლიკა არსებდა, მაგრამ უხვირო კაცების წყალობით რესპუბლიკას პატივის ცემა ჰქონდა დაკარგული ერის გონებაში შემდეგის მიზეზით: ყველაზე უფრო აღრე ღარიბი ხალხი ელოდა რესპუბლიკისგან შევლას, მაგრამ რესპუბლიკის მოთავეებმა საწყალ მუშახალხს ჯერ აღუთქვეს, სახელმწიფო სამუშაოზე დაეყენებთო, ჯამაგირს მოგიმატებთ და შინაურ ცხოვრებაც გაგიკეთებთო. მართლაც ქალაქების მუშა ხალხი დაერწმუნა ამ სიტყვას, დაადგო სოციალისტების ფარეკები, ქარხნები და მოგროვდა პარიჟში მთავრობის სახელმწიფოებში სამუშაოებლათ. რესპუბლიკის გამგეობა ძალიან შეწუხდა ამ ამბით და მეტი რა გზა ჰქონდა, იმდენი გამოსადეგი სამუშაო რომ ეწერა უშოვნა რა, დააყენა და მიწა ათხრევინა. მუშები შეიქნენ სახელმწიფო ხარჯზე ცუდ უბრალოთ მომუშავენი. სახელმწიფო ხაზინა იმათ არჩენდა და იმათგან ხაზინას კი არა ემატებოდა რა. სოციალისტები ხაზინა სულ დაიკალა ფულისაგან, ბოლოს უგუნურმა გამგებლებმა ხალხს გამოუცხადეს, ხაზინაში ფული აღარ არის, სახელმწიფო ჯამაგირს ვეღარ გაძლევთო, წადით, საცა გინდათ, საქმელი პური იქ იშოვნეთო. ამ სახით ერთი მილიონი კაცი თავის ცოლ-შვილიანა დარჩენ ცალიერზე. ძველი მეპატრონეები, რომელთაც გამოექცენ, ხომ აღარ მიიღებდნენ. ისინი ან სულ ერთიანათ შინაშლით უნდა გამოქცარიყვნენ და ან რესპუბლიკის მთავრობას უნდა შეეკედომოდნენ მოტყუებისთვის. იმათ უკანასკნელი არჩიეს. მთელი სამი დღის განმავლობაში პარიჟის ქუჩებზე იყო გაცხარებული ბრძოლა მთავრობის ჯარებსა და მუშებს შუა. პარიჟი სისხლში ცურავდა. მთხი ათასი მუშა მოიკლა, დანარჩენი ზოგი ექსორიას გარეკეს და ზოგი შიმშილით მოკვდა.

შტურური მოთავე კაცების წყალობით, ამ უსამართლობამ მთელს ქვეყანას რესპუბლიკა შეაძულა და როცა პრეზიდენტის ამორჩევის დრო მოვიდა, ყველამ ლუდოვიკ-ბონაპარტი ამოირჩია. ამ დროდგან ლუდოვიკ-ბონაპარტი ცდილობდა საფრანგეთის იმპერატორათ განდობას. მგზავი მგზავს მოსძებნისო. მართლაც ლუდოვიკ-ბონაპარტს შემოეხვეინ ისეთი კარის კაცები, რომელნიც იყვნენ ქალაღის მოთამაშენი და ავაზაკნი. იმათ თავისი ქონება სულ კარტში და ღვინოში ჰქონდათ წაგებული და ახლა საქმე რომ გაუჭირდათ ლუდოვიკ-ბონაპარტს შეუძერენ, ჩვენ კარგათ ვიცით, რომ შენ იმპერატორობა გინდა, მაგას ჩვენ მოგვიხრებთ, მაგრამ სახელმწიფო შემოსავლებით ხელი უნდა მოგვათბობინოვო უთხრეს იმათ, ის სისხარულით თანაზმა გახდა და ამის შემდეგ მთელი ოცდაორი წელიწადი საფრანგეთს ავაზაკები და ქურდები განაგებდნენ. იმათ ლუდოვიკ-ბონაპარტი ფარდათ დაისვეს, რომლის იქით ავაზაკების საბუნაგო იყო მიმალული და ქვეყანას ცარცვადენ. საქმე აი როგორ დაიწ-

ყეს: ოთხი წლის განმავლობაში ჯერ ჯარი გაერთავულეს. ბოლოს, ერთ ღამეს სტაცხელი და ყველა რიგინი და თავისუფლების მოყვარე კაცები დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. მერეს დღეს ქალქი აბუნტდა, მაგრამ ჯარებმა ყუშბარები დაუშინეს: რაც პატიოსანი კაცი იყო მთელს საფრანგეთში გააწყვეს, ზოგი მოკლეს, და ზოგს ექსორია უყვეს. ეს მოხდა 1852 წელს. ლუდოვიკ-ბონაპარტმა ამ წელს დაიღდა იმპერატორის გვირგვინი ნაპოლეონ მესამის სახელით და სთქვა: მევარ მარტომთელი საფრანგეთის მბრძანებელიო. მინ იყო პასუხის გამცემი—ჰქელანი პირ უკულმა მიწაში ელაგნენ.

ამას შემდეგ ავაზაკები, რომელნიც იმის სახელმწიფო კაცებთ შეიქნენ, მიეცნენ დიდს ქიფს, დაიტენეს განხრეკილი ჯიბეები მთელი ქვეყნის შემოსავლით და რომ დიდხანს გაგრძელებულიყო ეს აღდგომა, იმათ ასე მოაგვარეს საქმე. მრის განათლება სამღვდლოებას ჩაუგდეს ხელში. ქალაქებში მოიგონეს მრავალ ნაირი უფასო საღებო ალაგები, სადაც ცუდს მღვდმარობაში ჩაფარდნილს მუშა ხალხს თვალის სერიით, ღვინით და როსკიბების აღერსით გული გაერთოთ და მუდამ მთვარლობაში უკმაყოფილობა არ ეგრძნობინებინათ.

ამ სახით სამღვდლოებამ განათლების მაგიერათ საფრანგეთის ახალგაზღვდა გარყენა დაგონება დაუბნელა. შეჩვიდა ამაო მორწმუნებას, ნაპოლეონის გვარის სიყვარულს და თვალის ამხელი მეცნიერება შკოლებიდან სულ გამოაცალა. ქალაქებში განცხრომა და გარყენილება შემოვიდა, სოფლებში კი უგუნურება დამყარდა. ნამდელი მამულის სიყვარული, მეცნიერებისთვის თავ განწირულება, და ცოლ-ქრომაში კარგი ზნე მოსპოა. მდაბალი ხალხი თანდა თან სიღარბეში ვარდებოდა ქიფის სიყვარულის გამო; ვაჭრობა თანდათან უფრო მდიდრდებოდა, მაგრამ ეს სიმდიდრე კიდევ უფრო უხდენდა იმას ზნეს. სახელმწიფო ხაზინას სახელმწიფო ავაზაკები ცარცვადენ და რომ ფული გამოუღვევლათ ჰქონდათ, ნაპოლეონ მესამეს აბრეყებდნენ ომიანობის დაწყებას, ამის გამო საფრანგეთს თან და თან დაუშტერდა ყველა მერობის სახელმწიფოები: რუსეთი, აესტრია, იტალია, პრუსია, გერმანია, ისპანია და ანგლია. ისე რომ როდესაც საფრანგეთმა პრუსიას ომი გამოუცხადა, მთელი მაშერობამ პრუსიის მხარე დაიჭიდა. ამ ომიანობამ სრულებით დაამტკიცა ნაპოლეონის უგუნურება და ერის ღრმათ მოუძღურება.

როდესაც პრუსიელებმა მთელი საფრანგეთის გაწერთილი ჯარი მოსპეს, შემდეგ ერს უნდა გამოელო ხელი. მართლაც პარიჟში ტროშუმ მოიწვია მთელი მოქალაქობა საომრათ და მხარებში გამბეტამ. მაგრამ განცხრომაში დასუსტებულმა ერთმა ვეღარ აიტანა მხედრის ჯაფა და დაიწყო უგულოთ ბრძოლა მამულისათვის. თვითონ მოთავენიც ისეთი უხნეო და უნდოები გამოჩნდნენ, რომ მთელს საფრანგეთში გამბეტას მეტი ხეირიანი კაცი არ ყოფილა. პრუსიელებისგან დაჭერილობა მხარებმა ვეღარ აიტანეს მტრის შევიწროება. მდიდარი ვაჭრობა ნებიერი ცხოვრებით წამხდარი ჰყვიროდა: რაც დაგვემართოს, დაგვემართოს, ყინვაში და ტალახში გდებას, ისე მშვიდობიანობა მოვანდინოთ, ისა სჯობიაო. წაიღონ მხარები, ჩვენ ჩვენი ქონება მიიწვ დაგვრჩებაო. მართლაც ამისთანა უსინდისო გარყენილი აზრის გამო არსად არ აღიძრა ნამდელი მხნეობა და უძლეველი პატრიოტობა. პრუსიელებმა პარიჟი დაიჭირეს, მხარის ლაშქრობა დაამარცხეს და საფრანგეთისთვის სამარცხენო შერიგება მოახდინეს. როდესაც გამბეტამ და იმისმა რესპუბლიკურმა პარტიამ დაიყვირა: „ბრძოლა, ბრძოლა, სულ გაგწყდეთ, მაგისთანა მშვიდობიანობას ის გვიჩინებიაო, მაშინ მდიდარმა მოქალაქე-

ობამ ამოაჩნია ახალი დებუტატები, გამართა ბოროლს ქალაქში საერო (საქონალური) კრება, სადაც მომეტებული ნაწილი უწინდელი კაროლების მომხრენი იყვნენ და იმათ ამოაჩნის მოთავეთ ტიერი, რომელმაც მაშინვე მოახდინა შერიგება. გამბეტა ისპანიაში გაიქცა, ის არ გახდა თავის ქვეყნის დამცირების მოწამე. შემოხსენებულ შერიგების ძალით—მლხასის მხარა და ლატარინგის ნაწილი პრუსიელებს დარჩა. ამას გარდა საფრანგეთს ხუთი მილიონი ფრანკი ჯარიმათ დაადევს და ვიდრე ამ ჯარიმას არ გადახდინან პრუსიელების ჯარი საფრანგეთიდან არ გამოვა. ამ დროს განმავლობაში კი მთელი ეს ჯარი საფრანგეთმა უნდა არჩინოს. ამას გარდა მარტო პარიჟის ქალაქი ორასი მილიონი კონტრობუტია გადახდევინეს. როგორც კი მთელს საფრანგეთში გაეარდა ამ სამარცხენო შერიგების ხმა, ვინც პატიოსანი კაცი იყო, ყველას გული გადმოუბრუნდა და უფრო გონება გახსნილმა პარიჟის მცხოვრებლებმა თავი გამოიღვა. იმათ უარი სთქვეს ბოროლს საერო კრებაზე, ტიერს არ დამოაჩნიდნენ და გამართეს ომი. პარიჟში ამოაჩნის ახალი მოთავრობა, რომელსაც ეძახდნენ კომუნას. ბოროლს საერო კრება კი გადავიდა ვერსალის ქალაქში და იმათ ეწადთ ვერსალის მთავრობა, ანუ ვერსალელები. მთელი ოთხი თვის განმავლობაში შეიქნა სასტიკი ბრძოლა მერსალის მთავრობასა და კომუნას შუა. ბოროლს ვერსალის მთავრობამ პრუსიელების შემწეობით სძლია პარიჟის ერთ და რაც ის უწყალოთ მოექცა თავის ხალხს, თავის დედა ქალაქს, პრუსიელებს იმის მეათედი შეუბრალებლობაც არ გამოუჩინათ. საფრანგეთმა რომ ნახა ამისთანა შეუბრალებლობა ვერსალის მთავრობისა, გული აიციურეა იმაზე. იფიქრა ამთ ხელში რომ მართლა უფლება ჩაეარდეს, ნაპოლეონზე უარეს უბედურებას ესენი შეგვამთხვევენო და როცა ახალი დებუტატების ამოაჩნის დრო მოვიდა ამ წლის ივლისს მთელმა საფრანგეთმა სულ რესპუბლიკელები ამოაჩნია. ამ სახით ვერსალის საერო კრებაში რესპუბლიკელების მომხრენი უფრო მომეტებულნი შეიქნენ, ვიდრე ორლენისტიები და როიალისტები, ესე იგი ძველი მეფეების ტანტის მომხრე დებუტატები.

ტიერი არის ორლენისტი. აი, რას ამბობდა ჰენე 1841 წელს ტიერზე! „ტიერის ქუთა საფრანგეთის სახელმწიფო კაცებში ყველა ქუთაზე უმაღლესია, თუმცა სიმაღლით ყველაზე დაბალია. ეს საფრანგეთში საუკეთესო თავია, თუმცა როგორც ამბობენ, თვითონაც ამას ამტკიცებსო. მხოლოდ ეს არის, რომ იმას უკეთ ესმის კაცობრიობის მატერიალური საჭიროება, ვიდრე იმის იდეალური წადილი. იმას სრულებით არ გაეგება დიდი სოციალური დაწესებულებათა აზრი.“ ტიერი იმდენათ ქუთიანი და გონება გახსნილი კაცია, რომ თავის პირადს გრძნობას არ შესწირავს საფრანგეთის ბედნიერებას. ამის გამო როდესაც შესწავა, რომ როიალისტები და ზოგიერთი ორლენისტიები ახლანდელს ერის საჭიროებას და გრძნობას ყურს არ უგდებენ, ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მალე გაამეფონ გრაფი შამბორი ბენრიხ მენუთის სახელით და სხვას ყველაფერს თუნდ თავი ქვას უხლიაო. ამ გვარი მათი სურვილი ძალიან ცხადათ დანახა მთელმა საფრანგეთმა. ამის გამო ტიერი გადაუდგა ამ პარტიას და მიეხსრო ზომიერ რესპუბლიკელებს. რესპუბლიკელებიც თავის მხრით მხარში შეუდგნენ ტიერს და ბევრს კარგს კანონებზე დაათანხმეს ჯიუტი მოხუცი. რამდენათაც დიდ ვაჭრობაში ჩაეარდა საფრანგეთი თავის ცუდ დაწყობილებსაგან, იმდენათ დიდის სიფთხილით დაუწყა მთელმა საფრანგეთმა და მომეტებულმა ნაწილმა საერო კრებისათვის თავის ცუდს მხარეებს განხილვა და გადაკეთება. ამ შემთხვევაში ყველაზე პირველათ მიაქციეს ყურადღება საფრანგეთის დე-

პარტამენტების და თემობის თავისუფალს გემ- გობაზე და სამხედრო დაწყობილების გადა- ცვლაზე პრუსიის სამხედრო დაწყობილების ჩრხედით. ტიერი როგორც ძველი კაცი ძვე- ლი დაწყობილების შეჩვეული უარზე იდგა, მაგრამ დიდის ბაასის და ბრძოლის შემდეგ დათანხმდნა იმაზე, რასაც ზომიერი რესპუბლი- კლები უჩრხედენ. ამ სახით ყოველმა დებარ- ტამენტმა უნდა ამოირჩიოს საიმედო კაცები, რომელნიც შეადგენენ უმთავრესს რჩევას (Ge- неральный советъ) და ისინი იქნებიან ექვსი წლის ვადით ამორჩეულნი. პრეფექტს ანუ გუ- ბერნატორს აქ მხოლოდ ისეთი ხმა ექნება, როგორც ყოველს წევრს. აქას გარდა ამორ- ხევენ დებარტამენტის კამისიას, რომელიც განიხილავს დებარტამენტის გასამგებო საქმეებს; ასე რომ ყოველი დებარტამენტი თავის ში- ნაურს საქმეში სრულდებით თავისუფალი შეი- ქნა და თავის შინაგანს საქმეში თითქმის არ დაეკითხება უმთავრესს პარიკის მმართველ- ბას. აი, ამისთანა დაწყობილების შემოღება ნიშნავს რესპუბლიკური დაწყობილების დამ- კვირებას საფრანგეთში.

შეინ ასე არ იყო. შოველი დებარტამენ- ტი და ყოველი თემი სრულდებით მთავრობის- გან დაყენებულ ჩინოვნიკების ხელში იყო ჩაფარდნილი, ასე რომ რასაც უმალესი მთა- ერობა ისურვებდა, დებარტამენტში ის მონ- დებოდა. მტკვათ რესპუბლიკა გამართა აღ იმის პრეზიდენტმა (თავს მჯდომარემ) სრუ- ლი მეფობა მოინდომა. მართს დამეს სა- ერო კრების წევრები დაატუსალა და მე- ორი დღეს გამოაცხადა მე იმპერატორი ვარ, ყველანი მხოლოდ ჩემს ბრძანებას დამორჩი- ლენითო. რადგან მთელი საფრანგეთის მკ- რები იმის ჩინოვნიკებს ეჭირათ ხელში ყვე- ლა მახრები მაშინ დათანხმდებოდენ ამისთან- ა უწყსოდ მთავრობის გადაცვლაზე და რეს- პუბლიკა ძალიან ადვილათ მოისპობოდა. აწ კი ასე აღარ იქნება. ამას შემდეგ საერო კრების პრეზიდენტმა (თავს მჯდომარემ) რომ კიდევ გამოაცხადოს იმპერატორათ განდობა, მახრე- ბი არ დამორჩილებიან, ამიტომ რომ მახრე- ბი იმის ჩინოვნიკების ხელში კი აღარ იქნე- ბიან, არამედ თავიანთ ამორჩეულების ხელში და ესენი ეტყვიან, არა ჩვენ მკის თანახმა არ გაცხდებით, შენ ვინ მოგცა უფლება ჩვენგან ამორჩეულს დებუტატებს არ უსმინოვო და საკუთრათ იმეფოვო. მახრები მაშინვე შეი- არადდებიან, დაიჭერენ ამისთანა პრეზიდენტს და კანონისამებრ დასჯიან. აი, რა დიდი მნი- შვნელობა აქვს დებარტამენტის თავისუფალს გამგობას რესპუბლიკის დამყარებისთვის. ტი- ერი თუმცა არ იყო ამ კანონის თანხმა, მაგ- რამ მომეტებულმა ნაწილმა საერო კრები- სამ რომ ისურვა, მაშინ ისიც თანხმა გახდა. ამას გარდა საერო კრებამ ტიერის უნებურათ გააუქმა ნაციონალური გვარდია და გადას- წყვიტა, რომ სამხედრო დაწყობილება პრუ- სიის წესზე უნდა შემოვიღოთო. ამ განზრ- ხეის ასასრულებლათ არის დანიშნული სამხე- დრო კამისია, რომელშიაც ურევიან წევრებათ ტროშუ, ალეკრო, შანზი—ყველანი პრუსიის წესზედ მხედრობის გამართვის მსურველნი.

ვამი იმათ ექნებათ ხელში ძალა და რესპუბ- ლიკის წინააღმდეგ დაწესებულებას არასოდეს არ გაატარებენ კრებაში. მათი სიტყვით რეს- პუბლიკელები კარგათ გრძნობენ, რომ ტიე- რისთანა მოხერხებულს პრეზიდენტს რესპუ- ბლიკის საუკუნოთ დასამყარებელათ ვერაფის იშონიან და აი, ამის გამო კდლოდენ, რომ რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს ის პრეზიდენ- ტათ. თუმცა თვითონ ტიერიც ძალიან ვემა- კი კაცია, იმას რომ ჰკითხო, სულ სხვას ფე- ქრობს, იმას უნდა, რომ რესპუბლიკელების თანხმობით ისარგებლოს და პრეზიდენტათ შემოაპაროს ერთი რომელიმე ორღენის გე- არის პრინცი და მერე გერგინი დაადგას; მა- გრამ გარემოება ისეთ რიგათ მიდის, რომ რეს- პუბლიკური აზრები თან და თან ვრცელდება ხალხში და თან და თან ერი უფრო რესპუ- ბლიკას თანაუგრძნობს. ამისთანა მდგომარე- ობაში, იქნება ტიერს ჰგონია, რომ რესპუბ- ლიკურს პარტიას მე მივართვე ჩემი განზრ- ხეის ასასრულებლათო, მაგრამ საქმით კი ჩნდება, რომ რესპუბლიკური პარტია მით- რვეს ტიერს თავისკენ. ამ ბოლოს ღროს ეს პარტია კიდევ უფრო გაძლიერდა იმითი, რომ იმას გაუჩნდა მოთავედ საკვირველი ნიჭიერი და მოქმედი კაცი ზამმეტრა. იმის კარგი სახე- ლი კიდევ უფრო აყვარებს ერს რესპუბლი- კურს დაწყობილებას. თვითონ ზამმეტრამ ამ ერთი თვის წინათ წარმოსთქვა, რომ მე სრუ- ლებით თანხმა ვარ ტიერის პოლიტიკისაო და ჩვენ რესპუბლიკელებმა ისეთი პარტია უნდა შევადგინოთ, რომ მთავრობას ერთ დონაზე დგამის ნება არ მივსცეთ, არამედ ჩვენი მე- ცადინობით სულ წინ და წინ ვატაროთ წარ- მატების გზაზეო. აი, ამ გარემოებების ძალით ამ დღებში რესპუბლიკელებმა თავის პარტი- ის აზრის თანახმად საერო კრებაში შეიტანეს ამ გვარი კანონის პროექტი: „უფ. ტიერმა უნდა მიიღოს საფრანგეთის რესპუბლიკის პრე- ზიდენტობა. უფ. ტიერმა უნდა დანიშნოს ერ- თი თანამშეწე—ანუ ვიცე პრეზიდენტი, რო- მელსაც შეეძლოს ზოგიერთ შემთხვევაში პრეზიდენტის მაგეირობა. ტიერმა უნდა შეა- დგინოს სამინისტრო და დანიშნოს მინისტრი, რომელიც უნდა იყოს მინისტრების რჩევაში თავს მჯდომარეთ. რესპუბლიკის პრეზიდენტი პასუხის მგებელი არ უნდა იყოს. მინისტრებ- მა კი პასუხი უნდა აგონ თავის მოქმედების- თვის ერის წარმომადგენლების წინაშე.“ ამის- თანა პროექტი ახლანდელმა მდგომარეობამ აუტიკრებინა რესპუბლიკურს პარტიას. მაგალი- თად ამ უკანასკნელს დროს შულ-ჩაგრმა ისურვა სამსახურიდან დამითხოვეთო, რად- გან თანახმა არ ვარ ტიერის აზრისა, რომელ- საც ჰსურს, რომ სამღვდლოების თხოვნა პა- პის ახლანდელ მდგომარეობის შესახებ პირ- დპირ უცხო ქვეყნის სამინისტროს გადაეცე- სო. ამ საქმით შეიძლებოდა, რომ შულ-ჩა- გრი პაპის მომხრე გამხდარიყო, რადგან სა- ფრანგეთის სამღვდლოება ითხოვს, რომ მთა- ერობა გამოეხარჩლოს იტალიას, თუ რათ წა- ართვი რომის მხრა პაპსაო. ამის გამო მთა- ერობას რომ თავის სამღვდლოების თხოვნა აესრულებინა, შულ-ჩაგრს უტყველოთ იტა- ლიასთან ომი უნდა გამოეცხადებინა. მის გე- ჟა იქნებოდა ამის თანახმა. ამიტომაც შულ- ჩაგრს არ ჰსურდა თვითონ გარეულოცო ამი- სთან; უხერო საქმეში, მით უფრო რომ თვითონ ის წინააღმდეგია პაპის საერო უფ- ლებისა. ტიერს კი გულში ძალიან ჰსურდა, რომის პაპს დარჩენოდა თავისი უფლებ- მა უწინდლოთ. შულ-ჩაგრი არ დაეთანხმა ამ აზრს და მონდობა სამსახურიდან გამოსე- ლა. ამით ტიერი ისეთს მდგომარეობაში იყო ჩაფარდნილი, რომ ძალიან გაუძნელოდა იმის მაგერი კაცის მომხრე. ასე რომ თვითონ უნდა ეკისრა უცხო ქვეყნის სამინისტროცა მაშინ რასაკვირველია ერში გავარდებოდა ხმა ტიერს მთელი უფლების ჩაგდება ჰსურს ხელ- ში და ნაპოლეონის მაგეირობაო. რომ ეს არ მომხდარიყო, რესპუბლიკელებმა არჩიეს იმის პრეზიდენტობა სამი წლის ვადით და მინის- ტრების პასუხის გება დებუტატების წინაშე. თუ ვინმე შულ-ჩაგრისათვი კვლავ გამოვა სა-

საგურიდან, ტიერს რა ღარდი აქვს, ის ხომ არ იქნება მოკალსე, მინისტრის მაგეირო ადვილათ მიძინებდა და ტიერი არ იქნება გაჭირებულს მდგომარეობაში ჩაფარდნილი; როგორც ახლა შულ-ჩაგრის გამოდებით შემთხვეა.

ბერი რიგიან დაწესებულებათა შორის ამ ბოლოს დროს საერო კრებაში ეს აზრიც შე- იტანეს: მთავრობამ შეუძლოა ხალხს უფ- სრათ დასწავლოს წარმატებულად და ვინც უარი სთქვას, იმას ვადიან გადახდეს, ან სასჯელი რაიმე მიეცესო. ეს და სხვა ამ გვარი დაწესე- ბულებანი ცხადთ გვიმტკიცებენ, რომ რეს- პუბლიკური დაწყობილება თან და თან მარ- დება საფრანგეთში და თუ მართლა ამ საქეო გამგობამ სამულადმო ძირი გაიღა ამ ქვეყა- ნაში, მაშინ ჩვენ შევიძლიან, ეტკვათ, რომ საფრანგეთი უკანასკნელს ომში მოგვებული დარჩა, რადგან შოხას-ლოტარინგის ოჯასათ თავისუფალი საერო დაწყობილება იშონენა, რომლის წყალობით შოხას-ლოტარინგიც მაღს დაუბრუნდება მას და ბერმანის იმპე- რალს და იმის საიმპერატორო სახლსაც მაღს ძირიანათ ამოიღებს.

შ ი ლ მ ბ რ ა მ მ ა

„მაგვარი“ გეაცნობებს, რომ რუსეთის ჯარს ჩინეთის სამხედროზე დაუჭერია ახალი ქლა- კი ქულევჯა.

ბ ი ბ ი ი მ რ ა შ ი ა

ჩვენ ვანგებ არაფერი ეთქვით ამას წინეთ, როცა თეოლისში გამოვიდა რუსულ ენაზე ერთი პაწაწა წიგნი „მთაისის და თეოლისის ბანკის თაობაზე“. ჩვენ ხმის ამოუღებლობას ამ საქმეზე თავისი საფუძველი ჰქონდა, და ეს ხმის ამოუღებლობა გავჩინეს ხელს გავრძე- დები, რომ არ დაეწერა, საკუთრივ „თეოლი- სის ბანკის დანიშნულებაზე“. რაკი ამ წიგნე- ბის დამწერი თავის მიზანს არ ეშეება, და პა- ტიონსათ ცდილობს თავის აზრის ასრულე- ბას, ჩვენი მხრით მეტის მეტათ გეოლოგიო- ბა იქნებოდა დაწყობილებით მივც რომ არ მოეხსენებოთ მისი შრომა და არ ეტკვათ აქ ჩვენი ხმის ამოუღებლობის მიზნის ამ საქმეზე.

ჩვენი მდგომარეობა და შრომა, მართალი რომ თქვას კაცმა, ახირებულთ, სწორეთ და ნამდვილათ ახირებულთა. ჩვენ რომ ეატყვოდეთ, ჩვენში ვისმეს აზრს, ვის- მეს მაგალითს და რჩევას ნაყოფი და სარგე- ლობა მოაქვს, ღმერთმა ხომ იცის, რომ გვარაინათაც შევიძლებდით საზოგადოების და- ხმარებას, და არც არაფერ დავწლს და განსა- ცდელს დაეზოგავდით ამისთანა სასარგებლო საქმეში.—ეს სიტყვები ჩვენ არც ტრახაბათ უნდა ჩაგვეთვალოს, არც თავის გამოსაჩენს საშუალებათ, ამიტომ რომ ნამეტანი დიდი და შესანიშნავი საქმე როდია კაცისათვის სხვისი მოაზრების და სწავლის გადმოღება და გავრცელება არც იმ მოვალეობის ასრუ- ლება, რომელსაც ყოველი ხეირიანი კაცი უნდა ასრულებდეს...

მაგრამ, ჩვენი უბედურება ის არის, რომ ჩვენი საზოგადოება რაღაც ნაირათ მიუჭინებუ- ლი და მიძინებულია. თუ თვითონ საზოგა- დოებებს არ ესმის თავისი მდგომარეობის სინდელი ან და თუ ესმის, არ უნდა მისი გამოსაცდელათ რამე ღონისძიების ხმარება, არ უნდა ხელის განძრევა, იმას რამდენიც ვინდა უქდადაღე, რამდენიც ვინდა შევხვეწე შენ ხელს მაინც ევერ განძრევიენბ, და საქმი- ზე მაინც ვერ აღძრავ.—ის უფრო დაგივდებს, მეტიარებით მოისმენს შენს სიტყვას, თუ ღნათიანათ და გასართველათ არის შემდგარი და მაშინვე ერთ ყურში შეშებულ სიტყვებს მეორე ყურიდან გააფრენს. ნუ გგონია, რომ მის ტუენში და ხასიათში, მის მოქმედებაში და ცხოვრებაში დარჩება კვლავ შენი სიტყ- ვებისა და აზრისა. ტიერი დალაღულია, ხასიათი დაფარული, მოქმედება—უძლური და ცხოვ- რება უსუსური. მის აქვს ისეთი ტიტანური ძალა და იმისთანა ბედნიერი ასპარეზი, რომ ჩაუღდას ამნაირ კაცს, ამნაირ საზოგადოებას ძლიერი და გასაბეადეი სული. ვის შეუძლია მისი აღძრა, მისი საქმეზე დაყენება, მისი ნა- დაგი გამხრევიება? სადა ამისთანა გენიოსი? არ ვიციოთ. ეს კი ნამდვილათ და ზედმიწევ- ნით ვიციოთ, რომ ჩვენ არა ფერი მიგვივავს ამგვარ ღეთიგან მოვლენილ გმირს, რომელ- საც ოდესმე მკვდრეთით აღდგენა შესძლებია.

ამის გამო კაცს, ჩვენ მდგომარეობაში, არც ხალისი და არც დონე აქვს უსარგებ- ლოთ და უნაყოფოთ ღონეს სიტყვებით და კარგოს რჩევები, რომელსაც არაინ არ მის- დევის, თუმცა ზოგი კი ყურს უდგებს. და იმ საზოგადოებას, რომელსაც, ჩვენი აზრით, ბეერი სასტიკი რჩევა სჭირია, რომელსაც მოუხდება მარტო მარჯვე აზრის გამოკვლევა და შეთვისება, ჩვენ იძულებული ვართ ეველა- პარაკოთ უმინო, უხერო საგნებზე, ისეთებ-

ზე, რომ ხეირიანი კაცი სირცხვილით უნდა იწვიოს როცა ის ხიადგ მათ სხენებაში და შინჯეოთა.... რა ქნას ჩვენ? უნდა იქნეს მის მომუხაითვის, მის მასწავლებლად [სწავლა] პრეფერი არ მიანხია შენიშვნის და გამოკვლევის ღირ- სათ!...

ბანკის საქმე, მაგალითად, ისეთია, რომ- ლის ბედზე დამოკიდებულია ჩვენი საზოგა- დოების უმეტესი ნაწილის მომავალი. მაგრამ ვისაც უნდა დაიდეს გოროს ხელი და თქვას ვსულ წრფელოთ—ვის მიანხია ის საქმე ეთს- ნაირათ, რომ მისთვის ენის განძრევის გარდა ხელიც გაანძროს, შრომაც მიიღოს, ჩვენ ვიციოთ რომელიც მაგალითი, —და წინეთ ნახ- სენები რიგების დამწერი იმის მაგალითი— რომ საზოგადოებაში უთქვამთ: „ეს კაცი რას ჩაქვიება ამ ბანკის საქმესო, ის ვისი ტუკი-ტომარაო! ჩვენ საზოგადოებას არა თუ არ ჩვევია საზოგადო საქმეში დავწლი და თავის გამოღება, იმას იქნამდინაც არ მი- უწყვიდა ვერ, რომ მიხედეს, თუ შესაძლება საწვინაჯოო სარგებლობისათვის შრომა და თავის დაღება!....

ბანკის თაობაზე ბეერი იყო ნათქვამი. რაც ჩვენ საზოგადოებაში კუთა და მოაზრება მო- იპოება ყველას გამოუტყვამს თავისი აზრი ამ საქმეზე, ყველას ჰქონია შემთხვევა მი- სი მნიშვნელობის განხილვისა. რა გამო- იღება ამისგან? მინ ვიანა ნამდვილ სი- ძნელეს, ვინ გადაიარა ნამდვილი დამაკოლე- ბა და ვინ დაეხმარა ამ საქმეში მოთავეს? ან სად იყო მოთავე, სად იყო დამხმარე: ერთი მარჯვნივ მიიქანება, მეორე—მარცხნივ, მაშინ როდესაც მესამე, მეორე და მეხუთე განზე და უფრო მეტი ქვექვემ მიიწე- ვოდენ. ამ ჩვენ საზოგადოებას, ამისთანა სა- ზოგადო, საერთო საქმეშიაც ვერ ჩაედგა ერ- თი ი სული, ვერ მოეძებნა ერთი ნება, ვერ ელისა ერთი მიზანი. ღდაუნტული, დანგრე- ული და დაცლა-დაღებულ ხალხს დაუანტუ- ლათ მისდელთ დაეჭებულ მიზანს, და არსა- იდგან არ გამოჩნდა საშეგლი სინათლე არც მარჯვე და ძაღუმი გზის გამოკვლევა. ღარა- ბანი სანატრელ სიბოროთ, რომელსაც ვითომც- გაბედინებდით ვეფოდით მთელი საზოგადოების, ოლონდ კი მოევილინოს ის ჩვენ ქვეყანას. და ყველა დღეში ათასჯერ დაძინებას ცდილობს, ვგებს მაშინ მაინც მოევილინოს იმას ძილში ეს სანატრელი და ხელ მიუწვდომელი ჩვენება.

არც მარტო საზოგადოების ბრალია ამ საქ- მის ამ ნაირათ მიდგება. ჩვენ ვნათლებულ საზოგადოებაში ერთი კაცი ვერ გამოჩნდა, რომელმაც ეს საქმე სახეიროთ ითავოს და რომელსაც საზოგადოებამ ეს საქმე მიანდოს. რა ამისი მიზნებო? ის რომ ჩვენ ვანათლებას არ მიუცია ჩვენი ახალგაზობისთვის პრაქტი- კული, რეალური ცხოვრების ცოდნა. და მათ სიცოცხლეს არ უჩვენებია ძველი საზოგადო- ებისთვის ნდობის ღირსი მაგალითი. არც გამ- ძილო ვარგებულა, არც გამოწყლი. მეტი მეტი უბედურება იქნება!

და რომ იცოდეს კაცმა რა უბრალოა, რა ადვილი საქმეა ეს ბანკის საქმე, ხეირიანათ და- წყობილი, ან ვარის წყავილი, რა საარგ- ბლობის მოტანა შეუძლია იმას ხეირიან და მშრომელ საზოგადოებაში, მაგრამ როგორია ეს საქმე, რა ხეირიანი დაწყობილება მისი? რა წესი უნდა, როგორ სჯობია საქმის წყყენა? მართ ახლავსა კაცს მოუჩინებია ამ საქ- მის განჩევა და რამდენიმე სიტყვის თქმა ამ საგნზე, და ამ აზრით დაუწყვიტა იმას ოარი წიგნი, რომელზედაც ჩვენ ვლანარაკობით ამ სტატიის დასაწყისში. ჩვენი აზრით, იმას უქნია მეტის მეტათ პატიოსანი მაგრამ უფრო მეტათ უსარგებლო საქმე, ამიტომ რომ, რომ- გორც ერთი აღდაზა ამბობს, ჩვენ ქვეყანაში სმენა კიარ, მაგრამ ვადგინება არსაიდგან სჩანს. ამ აეტარს ჩვენ ეველიანერში არ ვეთანხმე- ბით, და მრავალ მის აზრებში კიდევ პირდა- პირ წინააღმდეგი ვართ მისი, მაგრამ საქმე ამა- ში კი არ არის, იმაშია, რომ მისი მიზანი კე- თილია და მისი შრომა—საქმე. ჩვენ საზო- გადოებაში ესეც ძირია, ესეც ფარით საძე- ბარი, და თითოთ საჩვენებლოა. ეს შენიშვნა და ეს გრძნობა მოგვევარა ჩვენ ამ ორმა პა- წაწა წიგნმა.

მაგრამ, დახედეთ რა გაიღენა აქვს კაცზე ახალგაზობის მაგალითი! რა ვინდ უსარგებ- ლოთ ეჩვენებოდეს კაცს, მწუხარებ დროს, რო- მელიმე საქმე, ახალგაზობი არტკეებით და ყმაწვილოური სასოებით სასვე მოქმედება იმას ვერ დაეცნის ღიმლის მოგვრის ტუენზე, მერ- ძე სიტყვებს „რა გამოვი!“ და ბოლოს მისდა უნებურათ თვითონ იმასაც მიითმენებს ყმა- წვილის უსარგებლო მაგალითისთვის. ჩვენც ამ ჩვენი საქმე მოვდის. უფ. მ—ის მაგალი- თით ჩვენზედაც თავისი ზედმოქმედებას იჩენს, რაკი იმისი თქმა გეჭირდება, თუ რაში მიგვა- ჩნია მისი აზრი და რჩევა შემტოართათ უსა- ფუძელოთ. მაგრამ ამ საგანს ბეერი ლანარა- კი სჭირია, და თუ ახლავსა ვეტრორის მაგა- ლითმა ჩვენზე თავისი გულენა არ დაკარგა, ჩვენ „ქ რ ვ ე უ ლ შ ი“ და წერილობით გაუჩინ- ჯავთ ამ საგანს.—